

„დამტკიცებულია“  
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/01. 24.01.2019  
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი

„განხილულია“  
სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს მიერ.  
ოქმი № 02-01-06/01. 21. 01. 2019 წ

საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

ჟურნალისტიკა

კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი:  
სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი ჟურნალისტიკაში  
Master of Social Scientist in Journalism

პროგრამის მოცულობა: *120 ECTS კრედიტი*

პროგრამის ხელმძღვანელი:  
პროფესორი – იოსებ სანიკიძე

პროგრამის განხორციელების ვადა  
2019-2025 წწ.

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ჟურნალისტიკა
2. განათლების საფეხური: მაგისტრატურა
3. კვალიფიკაცია/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი ჟურნალისტიკაში

#### 4. პროგრამის მოცულობა:

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 *ECTS* კრედიტს, სადაც 50 *ECTS* კრედიტი ეთმობა ძირითად სასწავლო კურსებს, 30 კრედიტი არჩევით დისციპლინებს, 30 *ECTS* კრედიტი ეთმობა სტუდენტის კვლევით საქმიანობას (სამაგისტრო ნაშრომის მომზადება) და 10 *ECTS* კრედიტი - საწარმოო პრაქტიკას. თითოეული *ECTS* კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო სახის სწავლებას და სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას. კერძოდ, 40% განკუთვნილია საკონტაქტო მუშაობისთვის, ხოლო არაუმეტეს 60% დამოუკიდებელი მუშაობისათვის. საკონტაქტო სწავლება მიმდინარეობს სამი სემესტრის განმავლობაში. სემესტრში უნდა შესრულდეს 30 *ECTS*. მესამე სემესტრში სტუდენტები გაივლიან პროფესიულ პრაქტიკას. მაგისტრანტს საშუალება აქვს მოამზადოს და მეოთხე სემესტრში დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი.

5. სწავლების ენა პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე. სასწავლო კურსი ითვალისწინებს ინგლისური და რუსულენოვანი ლიტერატურის გამოყენებას.

#### 6. სამაგისტრო პროგრამის მიზანი და აქტუალობა

თანამედროვე ინფორმირებულ საზოგადოებაში მასობრივი მედიის როლი განუზომლად დიდია. მათი საშუალებით უნდა დაკმაყოფილდეს ინფორმაციულ პროდუქტზე საზოგადოების მზარდი მოთხოვნილება. იმისათვის, რომ მედიასაშუალებებმა წარმატებით შეძლონ ფუნქციონირება, საჭიროა მაღალკვალიფიციური, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, აკადემიური აქტიურობით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, სამეცნიერო- პროფესიული ეთიკით და კულტურით აღჭურვილი ჟურნალისტიკის მომზადება. წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ჟურნალისტიკის სფეროში ღრმად ინფორმირებული, ჟურნალისტიკის არსისა და მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი გლობალური თუ კონკრეტული საკითხების სრულყოფილი სახით დამუშავებასა და მიწოდებაში, კვლევის, ანალიზის, აღქმის, გადმოცემის, დამოუკიდებელი აზროვნების უნარის მქონე და ინტელექტუალურად განვითარებული ჟურნალისტიკის მაგისტრის მომზადება.

7. მაგისტრის საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაღალკვალიფიციურ კვლევით ნაშრომს. მაგისტრმა მის მიერ შეგროვილი, გაანალიზებული, ღრმად და საფუძვლიანად შესწავლილი დიდი რაოდენობის საკვლევი მასალა მაღალ აკადემიურ დონეზე უნდა წარადგინოს პროფესიონალებით დაკომპლექტებული აუდიტორიის წინაშე. ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიური ცოდნის სტანდარტებს. სამაგისტრო ნაშრომის ხარისხიანად და საფუძვლიანად შესრულება ხელს შეუწყობს მაგისტრანტის მეცნიერული კვლევის გაგრძელებას ჟურნალისტიკის

თეორიაში და შექმნის წინაპირობას, რათა სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

**8. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე საფეხურზე სწავლის უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად არანაკლებ ბაკალავრისა ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდა და წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სასპეციალიზაციო გამოცდა.

**9. მოსალოდნელი შედეგები:**

მაგისტრატურის მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის მომზადების დონე ფასდება ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით. ქვემოთ მოცემულია ის ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, რომლებიც განსაზღვრავენ კურსდამთავრებულის მომზადების დონეს:

კრიტერიუმი	ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები	1. დარგობრივი კომპეტენციები
ცოდნა და გაცნობიერება	1. აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს.	მაგისტრანტმა ღრმად და საფუძვლიანად იცის ჟურნალისტიკის ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო ჟურნალისტიკის პრობლემატიკა, ფლობს თანამედროვე ქართული მედიის კრიტიკული ანალიზის უნარს, მასობრივი კომუნიკაციის პრობლემებს, პიარისა და ეთიკის ურთიერთმიმართებას, პრესისა და თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს, ჟურნალისტიკის ფილოსოფიას, მედიის კვლევის მეთოდებს, თანამედროვე მედიისა და ინტერნეტსივრცის თავისებურებებს, ტელე-რადიო გადაცემათა მომზადების საფუძვლებს. იცის ეროვნული და საერთაშორისო მედია სისტემების, მათი ფუნქციონირების მექანიზმების და ინსტიტუციური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ისტორიული კონტექსტები; იცის სხვადასხვა სახის მედია ორგანიზაციის გაზეთის, რადიოს, ტელევიზიისა, და ინტერნეტ-გამოცემების მუშაობის სპეციფიკა; იცის ჟურნალისტური პრაქტიკის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმები. იცნობს იმ კანონებს, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ არეგულირებენ მედიის საქმიანობას საქართველოში, შეუძლია მათი განმარტება და გამოყენება.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	1. შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინარულ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.	შეუძლია რამდენიმე კონკრეტული სფეროს სიღრმისეულად გაშუქება და ანალიზი ( სოციალური პრობლემების, ჯანდაცვის, პოლიტიკური პროცესების გაშუქება და ა.შ.). შეუძლია მედიატექსტების სიღრმისეული კვლევა და ანალიზი, შეუძლია დამოუკიდებლად მედიაკვლევების ჩატარება შეუძლია პრესისა და სატელევიზიო გადაცემათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე, თანამედროვე მასმედიის ჟანრობრივი სახესხვაობის თავისებურებათა ჩვენება და შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება.

დასკვნის უნარი	<p>1. შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის ( მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.</p>	<p>შეუძლია მასობრივი კომუნიკაციის სხვა საშუალებების ფუნქციონირების მეთოდოლოგიასა და მეთოდებზე დაყრდნობით მიღებული თეორიული და პრაქტიკულად მნიშვნელოვან შედეგთა კვლევა და ანალიზი, დასკვნების გამოტანა, შეხედულებათა არგუმენტაცია და კონტარგუმენტირება.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>1. შეუძლია თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.</p>	<p>შეუძლია უცხო ენაზე (C-1) უახლესი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ინტერვიუს წარმართვა და კომუნიკაციის დამყარება. შეუძლია უახლეს ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, ღრმად და საფუძვლიანად შესწავლილი დიდი რაოდენობის საკვლევი მასალის, ჟურნალისტური ნაშრომის ან და ნაშრომების სერიის პროფესიულ დონეზე წარდგენა პროფესიონალთა და არაპროფესიონალთა წინაშე. შეუძლია პროექტის/ნაშრომის შესაბამისად დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარდგენა. შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისება და გამოყენება ნაშრომის პრეზენტაციისას.</p>
სწავლის უნარი	<p>სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე.</p>	<p>მაგისტრანტს აქვს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი, აქვს შესაბამისი ცოდნა და აცნობიერებს კავშირს ჟურნალისტიკასა და მასთან დაკავშირებული სხვა დისციპლინებთან. შეუძლია შემდგომში სწავლის საჭიროების განსაზღვრა და დამოუკიდებლად სხვა სფეროების ათვისება.</p>
ღირებულებები	<p>ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p>	<p>გაცნობიერებული აქვს ჟურნალისტიკის პრინციპები, ფასეულობები და ღირებულებები, ჟურნალისტიკის ფუნქციები, უფლებები და პასუხისმგებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში. სიღრმისეულად გათავისებული აქვს ჟურნალისტური ეთიკის მნიშვნელობა პროფესიულ საქმიანობაში, ასევე ადამიანის უფლებების, ლიბერალური, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა.</p>

## 10. დასაქმების სფეროები:

ჟურნალისტიკის მაგისტრთა პროფესიული მოღვაწეობის ობიექტია მასობრივი ინფორმაცია, რომელიც მასმედიის სხვადასხვა არხების საშუალებით მიეწოდება ნაირგვარ აუდიტორიასა და ჯგუფებს, აგრეთვე სამეცნიერო ინფორმაცია, რომელიც დამყარებულია მასმედიისა და სხვა კომუნიკაციის საშუალებების ფუნქციონირების ანალიზზე. აქედან გამომდინარე, მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა დასაქმების ობიექტებია:

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია, რადიომაუწყებლობა, საინფორმაციო სააგენტოები, ინტერნეტგამოცემები და სხვა)
2. საინფორმაციო-კომუნიკაციური სფეროები(გამომცემლობა, პრეს-სამსახურები, სარეკლამო და პიარ-სააგენტოები, საზოგადოებასთან ურთიერთობა).

ჟურნალისტიკის მაგისტრის პროფესიული მოღვაწეობის სახეებია:

1. პროფესიული-საავტორო ჟურნალისტური მოღვაწეობა(ტელე და რადიოგადაცემების წამყვანი, საავტორო გადაცემების ავტორი და წამყვანი, მიმომხილველი, კომენტატორი, ანალიტიკოსი, მასმედიის დიზაინერი, მედიაკრიტიკოსი და ა.შ)
2. საპროექტო-ანალიტიკური მოღვაწეობა (ანალიტიკოსი, მედიაპროექტის შემქნელი, რედაქციის მენეჯერი)
3. ორგანიზაციულ-მმართველობითი მოღვაწეობა(მთავარი რედაქტორი, პროდიუსერი, მედიამენეჯერი)
4. პროფესიასთან ახლოს მყოფი შემოქმედებითი სფეროები (მედიასოციოლოგი, მედიამარკეტოლოგი, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სამსახურის თანამშრომელი)

## 11. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამის განხორციელების დროს გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები:

1. ლექცია და პრეზენტაცია ტექნიკური საშუალებების (აუდიო-ვიზუალური) გამოყენებით;
  - დისკუსია ჯგუფთან ან ჯგუფის ნაწილთან;
  - საშინაო დავალებების ან წერიტი ტექსტების/კოლოქვიუმების შედეგების საჯარო დისკუსია;
  - ლაბორატორიული სამუშაო;(ფოტო-ტელე სტუდიაში მუშაობა)
  - ზეპირი პრეზენტაცია, სემინარები (ჯგუფში მუშაობა);
  - პრაქტიკული სამუშაო (გადამღებ კამერასთან და სარედაქციო მასალებზე მუშაობა)
  - ინდივიდუალური კონსულტაციები;
  - ახალი მედია პროექტები;
  - სასწავლო პრაქტიკა;

## 12. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მიმდინარე შეფასებას – 60 ქულა (მიმდინარე აქტივობა და შუალედური გამოცდა) და ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას – 40 ქულა.

მიმდინარე შეფასებიდან 40 ქულა ეთმობა სტუდენტის მიმდინარე აქტივობას (სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული და ა. შ.) აქტივობის სახე მრავალფეროვანი შეიძლება იყოს, რაც განისაზღვრება კონკრეტული სილაბუსის მიხედვით. მიმდინარე შეფასებიდან 20 ქულა ეთმობა შუალედურ გამოცდას. სულ სემესტრის განმავლობაში ტარდება ორი შუალედური გამოცდა მე-7/8 კვირებში და მე-14/15 კვირებში. (თითოეულის მაქსიმალური შეფასებაა 10 ქულა). მიმდინარე შეფასება 5-ქულიანია.

დასკვნითი გამოცდის შეფასებას ეთმობა მაქსიმუმ 40 ქულა.

სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებებში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულა,

წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.

სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:

ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;

ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტიმუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელგასვლის უფლება.

ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს, რომლის საბოლოო შეფასება არის (FX) ან არ გამოცხადდა გამოცდაზე საპატიო მიზეზით (უწყისში დაფიქსირებულია „არგამოცხადება“ და სტუდენტი დეკანატში წარადგენს გამოცდაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს) უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში. თუ სტუდენტმა დამატებითი გამოცდისა და მიმდინარე შეფასებების ჯამით მიიღო „ჩაიჭრა“, „ვერ ჩააბარა“ ან „არ გამოცხადდა“, ითვლება ჩაჭრილად და ფასდება „(F) ჩაიჭრა“ შეფასებით.

სასწავლო კურსში/მოდულში „(F) ჩაიჭრა“ შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია მიმდინარე სწავლის საფასურის გადახდისათვის დადგენილ ვადებში დამატებით გაიაროს ადმინისტრაციული (ფინანსური) რეგისტრაცია, დავალიანებული საგნის დარეგისტრირების მიზნით.

დეტალური ინფორმაცია სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების კრიტერიუმების შესახებ აღწერილია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსებში.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით (კრიტერიუმები: ლოგიკა, არგუმენტაცია, მსჯელობა – 30 ქულა, ნაშრომის არქიტექტონიკა – 20 ქულა, გადმოცემის უნარი – 15 ქულა, სიახლე – 10 ქულა, დისკუსიაში ჩართვა – 15 ქულა, საპრეზენტაციო მასალის გამოყენება – 10 ქულა). მისი გაფორმების, წარდგენისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

## 12. სასწავლო გეგმა

N	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	საათები ს რაოდენობა	მათ შორის				კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით				
				ლექცია	პრაქტიკული	ჯგუფი მუშაობა	დამოუკ.სამ	I სემ.	II სემ.	III სემ.	IV სემ.	
<b>ძირითადი სპეციალობა</b>		<b>50</b>										
1.	აკადემიური წერა	5	125	15		15	95	5				
2.	მედიის კვლევის მეთოდები	10	250	30		30	190	5	5			
3.	საერთაშორისო მედია	5	125	15		15	95	5				
4.	მედიის კრიტიკული ანალიზი	5	125	15		15	95			5		
5.	ინფორმაციული თეორიის პრობლემატიკა	5	125	15		17	93	5				
6.	ქართული პუბლიცისტიკის განვითარების ეტაპები და კლასიკოსები	5	125	16		16	93		5			
7.	მასობრივი კომუნიკაციის პრობლემები	5	125	15		15	95			5		
8.	მედია და თანამედროვე ინფორმაციული PR-ტექნოლოგიები	5	125	15		15	95		5			
9	ახალი მედია	5	125	14		18	93		5			
<b>არჩევითი დისციპლინები (50-კრედიტიდან ირჩევს 30-ს)</b>		<b>30</b>						10	10	10		
10.	უცხო ენა	10	250	30		30	190					
11.	ჟურნალისტიკის ფილოსოფია	5	125	14		17	91					
12	პრესა და თანამედროვეობის აქტუალური საკითხები	5	125	16		16	93					
13	ინტერვიუს ხელოვნება	5	125	15		17	93					
14	რეგიონული მედია	5	125	15		17	93					
15	გეოპოლიტიკა	5	125	16		16	93					
16	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	5	125	16		16	93					
17	მართვის სოციოლოგია	5	125	15		17	93					
18	სოციალური ფსიქოლოგია	5	125	15		17	93					
19	<b>პროფესიული პრაქტიკა</b>	10	250		45	14	186			10		
20	<b>სამაგისტრო ნაშრომი</b>	30	750		180		570					30
21	<b>სულ</b>	<b>120</b>										

### 13. სწავლის შედეგების რუქა

N	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	კომპეტენციები					
			დარგობრივი კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნისპრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასვევნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.	აკადემიური წერა	5	X	X	x	X		
2.	მედიის კვლევის მეთოდები	5	X	X	X	X	X	X
3.	საერთაშორისო მედია	5	X	X	X	X	X	X
4.	თანამედროვე ქართული მედიის კრიტიკული ანალიზი	5	X	X	X	X	X	X
5.	ინფორმაციული თეორიის პრობლემატიკა	5	X	X	X	X	X	X
6.	ქართული პუბლიცისტიკის განვითარების ეტაპები და კლასიკოსები	5	X	X	X	X	X	X
7.	მასობრივი კომუნიკაციის პრობლემები	5	X	X		X	X	X
8.	მედია და თანამედროვე ინფორმაციული PR-ტექნოლოგიები	5	X	X	X	X	X	X
9	ახალი მედია	5	X	X	X	X	X	X
10.	უცხო ენა	10	X	X	X	X	X	X
11.	ჟურნალისტიკის ფილოსოფია	5	X	X	X	X		X
12	პრესა და თანამედროვეობის აქტუალური საკითხები	5	X	X	X	X	X	X
13	ინტერვიუს ხელოვნება	5	X	X	X	X	X	X
14	რეგიონული მედია	5	X	X	X	X	X	X
15	გეოპოლიტიკა	5	X	X	X	X	X	X
16	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	5	X	X	X	X		
17	მართვის სოციოლოგია	5	X	X	X	X		
18	სოციალური ფსიქოლოგია	5	X	X	X	X	X	X
19	პროფესიული პრაქტიკა	10	x	x	x	x	x	x
20	სამაგისტრო ნაშრომი	30						



#### 14. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჟურნალისტიკაში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის უცხო ენებზე ათვისებას, ინტერნეტით მასალების მოპოვების უნარის შემუშავებას და მათ გამოყენებას სასწავლო პროცესში. უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მაგისტრანტისათვის. მედიორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მაგისტრანტთა საწარმოო პრაქტიკა განხორციელდება შემდეგ ორგანიზაციებში:

- აჭარის ტელე-რადიო დეპარტამენტი.
- ტელეკომპანია „ტელეარხი-25“.
- გაზეთი „აჭარა“.

ადგილობრივი გამოცემები: „ქედა“, „შუახევი“, „ხულო“.

სტუდენტებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ „ინტერნიუსი-საქართველოს“ პროექტით – მედია პორტალ – [MEDIA.GE](http://MEDIA.GE)-ზე არსებული ინფორმაციით და თავისუფლების ინსტიტუტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული რესურსით.

[www.liberty.ge](http://www.liberty.ge) განთავსებული ელექტრონული ბიბლიოთეკებით.

ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით, სპორტული ბაზებით, საკონფერენციო დარბაზით, პრაქტიკის ბაზით. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით ჩაერთონ სხვადასხვა კულტურულ, ინტელექტუალურ, სპორტულ და გასართობ წრეებში.

**14.1.ადამიანური რესურსი.** საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალი; აგრეთვე - მოწვეული სპეციალისტები:

ჟურნალისტიკის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალი:

1. **იოსებ სანიკიძე** \_ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი), გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ რედაქტორი
2. **ნესტან მამუჭაძე** \_ მასობრივი კომუნიკაციის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
3. **ინგა ზოიძე** \_ მასობრივი კომუნიკაციის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
4. **ირინე ცინცაძე** \_ მასობრივი კომუნიკაციის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
5. **ნათელა ბერიძე** \_ მასობრივი კომუნიკაციის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
6. **თალიკო ბერიძე** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი.
7. **თენგიზ მოისწრაფეშვილი** - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი.
8. **ბესიკ ბერიძე** – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი.
9. **თამილა ჩურკვეიძე** - მოწვეული მასწავლებელი
10. **თეა ხინთიბიძე** - მოწვეული მასწავლებელი

## 15. სასწავლო პრაქტიკის პროგრამა

### 1. სასწავლო პრაქტიკის მიზნები

1.1. სასწავლო პრაქტიკა \_ არის ჟურნალისტის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი, რომლის შესრულება სავალდებულოა სტუდენტისათვის და წარმატებით შესრულებისა და დაცვის შემთხვევაში მას მიენიჭება 10 კრედიტი.

### 1.2. სასწავლო პრაქტიკა (შემდგომში პრაქტიკა) მიზნად ისახავს:

- სწავლების პროცესში სტუდენტთა მიერ მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებას, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გარემოებების დაკავშირებას და ურთიერთშეთავსებას;

- პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნას სპეციალობის მიხედვით.

### 2. პრაქტიკის ხელმძღვანელობა

2.1. პრაქტიკის ორგანიზაციისა და გავლისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელს და უშუალოდ პრაქტიკის ხელმძღვანელებს.

2.2 პროგრამის ხელმძღვანელი მაგისტრანტთან ერთად ადგენს პრაქტიკის სამუშაო გეგმებს, გრაფიკს. პრაქტიკის საკითხებთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტისათვის შეიძლება მოეწყოს კონსულტაციები და სტუდენტ-პრაქტიკანტთა შეკრებები.

### 2.3. პრაქტიკის უშუალო ხელმძღვანელობა ხორციელდება:

ა) დეკანის მიერ დანიშნული პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;

ბ) დაწესებულებებიდან გამოყოფილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება და პრაქტიკული მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი.

### 2.4. პრაქტიკის ხელმძღვანელად დანიშნული პროფესორი:

ა) რეგულარულად ამოწმებს სტუდენტ-პრაქტიკანტთა მუშაობის მიმდინარეობას და მათ მიერ პრაქტიკის პროგრამის შესრულებას, ეხმარება სტუდენტ-პრაქტიკანტებს წამოჭრილ ცალკეულ საკითხთა გადაწყვეტაში;

ბ) ეცნობა პრაქტიკანტთა მიერ შედგენილ აქტებსა და დოკუმენტებს, აძლევს ინდივიდუალურ დავალებებს სხვადასხვა აქტებისა და დოკუმენტების შედგენაზე;

გ) უწევს მეთოდურ დახმარებას პრაქტიკის დაწესებულებებიდან დანიშნულ ხელმძღვანელს;

დ) ამოწმებს პრაქტიკის დღიურს;

ე) ხელმძღვანელობს სტუდენტის მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლის შესახებ ანგარიშის შედგენას;

ვ) მონაწილეობს საწარმოო პრაქტიკის შემფასებელ კომისიაში.

### 2.5. პრაქტიკის დაწესებულებებიდან დანიშნული ხელმძღვანელი:

ა) პრაქტიკის პროგრამის საფუძველზე და პრაქტიკის ადგილის პირობებისა და თავისებურებების შესაბამისად ადგენს სამუშაო გეგმას თითოეული სტუდენტ-პრაქტიკანტისათვის;

ბ) აძლევს სტუდენტ-პრაქტიკანტებს მათი სამუშაო გეგმების შესაბამის და აუცილებელ მითითებებსა და დავალებებს, ყოველდღიურად ამოწმებს დავალებების შესრულებას და შედგენილი დოკუმენტების ხარისხს;

გ) პრაქტიკის დამთავრების შემდეგ ადგენს თითოეული სტუდენტ-პრაქტიკანტის წერილობით დახასიათებას, რომელშიც უთითებს სტუდენტ-პრაქტიკანტის საქმიანობის შესახებ პრაქტიკის პერიოდში და გამოთქვამს აზრს სტუდენტის შესახებ.

### 3. სტუდენტ - პრაქტიკანტის მოვალეობანი

#### 3.1. პრაქტიკის გავლის წინ სტუდენტმა უნდა მიიღოს:

ა) პრაქტიკის სამუშაო პროგრამა;

გ) პრაქტიკის დღიური;

პრაქტიკისათვის უკეთესი მომზადების მიზნით სტუდენტი უნდა გაეცნოს პრაქტიკის პროგრამას, მიიღოს პრაქტიკის ხელმძღვანელისაგან აუცილებელი კონსულტაციები პრაქტიკის ორგანიზაციისა და მეთოდების შესახებ.

#### 3.2. პრაქტიკის გავლისას სტუდენტები ვალდებული არიან:

ა) იმუშაონ დამოუკიდებლად პრაქტიკის პროგრამის შესაბამისად;

ბ) დროულად შეასრულონ პრაქტიკის ხელმძღვანელის ყველა მითითება;

გ) მთლიანად დაემორჩილონ იმ დაწესებულების შინაგანაწესს, სადაც გადიან პრაქტიკას;

დ) ყოველდღიურად აწარმოონ დღიური (დადგენილი ფორმით);

ე) დროულად წარმოადგინონ: 1. წერილობითი ანგარიში პრაქტიკის შედეგების შესახებ; 2. პრაქტიკის დღიური ჩატარებული მუშაობის შესახებ; 3. დაწესებულებებიდან ხელმძღვანელის დახასიათება; 4. ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს პრაქტიკის დროს სტუდენტის მიერ შედგენილი დოკუმენტების ნიმუშები.

4. პრაქტიკის შედეგების შეჯამება

4.1. პრაქტიკის შედეგების შეჯამება ხდება პროგრამის ხელმძღვანელისა და პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა პრაქტიკას.

4.2. აღნიშნული კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეული იქნას პრაქტიკის შესაბამისი დაწესებულების წარმომადგენლებიც.

4.3. დაცვა ხდება პრაქტიკიდან სტუდენტების დაბრუნებიდან ორი კვირის განმავლობაში.

4.4. ანგარიშის დაცვის შედეგები ფასდება ასბალიანი სისტემით.

4.5. 0-50 ქულამდე შეფასების მიღება იწვევს სტუდენტის მიერ პრაქტიკის განმეორებით გავლას.

4.6. პრაქტიკის საერთო შედეგები უნდა ეცნობოს ფაკულტეტის საბჭოს.

5. პრაქტიკის საათების განაწილება აკადემიური ჯგუფებისა და პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებელთა შორის

5.1. სასწავლო პრაქტიკის დაწყებამდე დეკანის განკარგულებით იქმნება სტუდენტ-პრაქტიკანტთა აკადემიური ჯგუფები და ინიშნებიან პრაქტიკის ხელმძღვანელები.

5.2. სასწავლო პრაქტიკის ხანგრძლივობა შეადგენს ხუთ კვირას (25 სამუშაო დღეს).

5.3. ყოველდღიურად ერთ ჯგუფში პრაქტიკის ხელმძღვანელებს ეწერებათ 6 საათი.